


საბჭოთა კავშირის
ფოსტის ბიუროს
გამგზავნი
26/7 1940
ფოსტა-დელტა
5 ცალი
№ 410



ნახ. გ. ისაევისა

ნაგაუზის მხეხელი ქია

„...ლონდონზე გერმანიის ავიაციის თავდასხმამ ცხადყო, რომ ინგლისის მთავრობამ დიდი სისუსტე გამოიჩინა, თავდაცვის საქმეში...“ ამერიკის გაზეთებიდან.

„...ლონდონიდან ვაშინგტონს დაბრუნებული ამერიკელი სპეციალისტები აღნიშნავენ ინგლისელების უპირატესობას და ურყევ ძლიერებას თავდაცვის საქმეში...“ ამერიკის იმავე გაზეთებიდან.

— მართალია, ცოტაოდენი სიცხე გაქვს — 42 გრადუსამდე, გულის მანკიც დაგმართნია, ღვიძლიც დასიებული გაქვს, მაგრამ საერთოდ, ჯანსაღად იმყოფები, გულს ნუ გაიტეხ...



პანცასკითა ცკია



— შფოთიანია მომენტი, ამბები ღიღინი ხთებიან,
 ევროპის ყველა კუთხეში ღიღინი სკდებიან,
 თავს გაუფრთხილდი, თუ ცაში შემოგხვდნენ თვითმფრინავები,
 ან ნაღმოსნები ზღვაშია, ანუ წყალქვეშა ნაგები,
 წადი და მოვლე ღუნია, გახდი ამბავთა მხილველი
 შემდეგ დაჯექ და დაწერე — უგრცესი მიმოხილვები.

ამ დარიგებით ნიანგმა გადმომცა განაწესია,
 ავდექ, მეც წაველ უჩინრად — ვით ნიანგელთა წესია...
 გადავიარე ბალკანეთს — გავცდი რუმინეთს თუ არა,
 ერთმა დაბლდენილმა ფრინველმა გზას რბენით ჩამოუარა,
 ბატი მეგონა, მაგრამა შევხედე, ფეხთ აქვს ღებები
 შევკადრე — ბატო, მიამბე საით გიჭირავს გეზები?

ეგ რა ნატკენი ზურგი გაქვს, ზურგს ქვემოდ ნაპანდურები,
 რა გაპნტილი მოჩანხარ, ჩამოგიყრია ყურები?

შეიფრთხილა „ჩიტუნამ“ შეირხა, თავი დახარა
 და ცრემლმორიულ ზღუქუნით მე ეს სიტყვები „მახარა“:
 — ახ, მამაუფლის წყალობით ბატათ გარდამქნა ნეტავი
 ან ცოცხად მაინც მაქცია, რომ ვიყო ჩიჩქის მხვეტავი,
 ან ნეტავ თავვად გამხადა, სოროში შემადქრინაო —
 გვირგვინდაკარგულს, იქ მაინც მექნება მყუდრო ბინაო...
 ვიცან... ის, გუშინ რუმინეთს მეფეთ რომ იდო ქებული,
 დღეს მიგორავდა — ნეშოში ვით პანტა ჩამოგდებულნი...

* *

ნორვეგიას გადავიარე, ფიორდებზე გადავფრინდი,
 ოსლოს ჩაველ, სტორტინგისკენ გავიარე, არ შევმინდი,
 ერთ შუკასთან კაცი ვნახე, შებურვილი ცრემლს აფრქვევდა,
 ნატყეპი და ქურქნახევი ხელით გვირგვინს მიათრევდა:

— სად შევძრო? — გაიძახდა, თვალეხს შიშით აცეცებდა,
 მივხვდი, ისიც საბუნავოდ თავის სოროს აწ ეძებდა:

— ვა ძიაჯან, ეგ რა არის? — შევეკითხე იმა რაინდს,
 — რას მიათრევ, რა ნივთია, რაში ვარგა? — მითხარ მაინც...
 — აფსუს გვირგვინ! — ოხვრითა სთქვა, — სათრეველად რახან გახდი,
 სჩანს გახუნდა შენი ღიღინი, დაიკარგა როცა ტახტიც.

— მაინც ვინ ხარ ძიაკაცო? რა ტახტზე გაქვს ლაპარაკი?
 რის გვირგვინი, რისი ღიღინი, სთქვი, ნუ გახდი ჰაკარაკი.

„ძიაკაცმა“ საბურავით გაიშიშვლა პირისახე,
 და მეც უმაღლ მივხვდი მულამს — როცა იგი დავინახე:

ვიცან, ვიცან ის „ჩიტუნაც“ ნორვეგიის მეფე იყო,
 გუშინ ტახტზე გაფხორილი — დღეს ტირაქში გასულიყო.

ვუთხარ — წესი ასეთია, გული ნუმცა გაგიცხარდეს,
 როცა პანტა ხეზე ლპება, იგი უნდა ჩამოვარდეს...

— მერე განა მე პანტა ვარ? — შემეკითხა გაკვირვებით.
 არც სტყუოდა, დავასკენი როს შევხედე დაკვირვებით, —
 პანტა მაინც პროდუქტია, მისით ღორი გასუქდება, —
 მაგრამ მეფე, ისიც „ექსი“ რა ჯანდაბად გამოდგება?

* *

ინგლის გადაველ იქიდან, ნისლები ვნახე მკვრივად:
 ყოველ ქუჩისპირს, შევხედე — ზარბაზნები ღვას მჭკრივად,
 წამისწამს ისმის განგაში, ხალხს ვხედავ შემკრთალ სახიანს,
 — სად შევძრო? — ხერელი გვიშოვით, — ლორდები გაიძახიან...
 და ბრიტანეთის „მარილთა“ თუ ნახეს შესაძრომელი,
 თავს იფარავენ და იქ კი... ვის ახსოვს ხალხი მშრომელი?

ამ ძრომილის მომენტში ერთ ამბავს გადავეყარე:
 სიტის სასახლის კარებთან, დამკლავებული მეკარე
 უკან მოსდევდა ერთ „ფრინველს“ გაფხორილს ფარშავანგით, —
 დაეწვეოდა, ურტყამდა შიშით „ანაქლერს“ ჩანგით.

— ველარ გაიგე? — მისძახდა, — გათავდა შენი პარპაში,
 არც სასახლეში გიშვებენ, აღარც პალატის დარბაზში...
 ბებერი მეღის ხრიკებით, გეყო რაც ვითარეშია,
 წადი იბრალე გვერდები და ეგ ჯაგლაგი ლეშია:

— სერ, ეგებ გადამარჩინოთ, — მომმართა იქვე მდგომელსა,
 — ყველგან მიფრინეს, სად შევძრო, აწ რომელ შესაძრომელსა?
 ვიცანი იგი „ფრინველიც“ ფრაკდახეული, ფრთხობილი,
 ის ჩემბერლენი აღმოჩნდა — მშვიდობის მტრედით ხმოველი...
 — აფსუს ჩემბერლენ — ამ ომის შენც შეჭქმენ მძლავრი აკორდი,
 ეგ როგორ მოხდა, რომ ომში შენც პანტასავით დაგორდი?
 ესთქვი და ბელგიას გავფრინდი, — ვუთხარ: იქ მიმეშურება,
 რადგან არ მსურდა ხანგრძლივად კულტურის ნგრევის ყურება.

* *


აქ უარეს ამბავს ვხედავ: ნანგრევსა და ნანგრევს შუა,
 დავდივარ და მსურს გავიგო — მეპატრონე ქვეყნის თუა...
 ვერსად ვნახე მსგავსი ვინმე, მაგრამ ერთი ქუჩის „მკობლად“
 ვნახე მეფე ფლანდრიისა — დაბანდალობს ვხედავ, ობლად.

შემომვედრა: — გულკეთილო, გამიკითხე, მეწვის კუჭი,
 ანუ პურის ლუქმა მომეც, ან ხორბალი ერთი მუჭი...
 თან აღმოხდა: ეჭა ღმერთო, რათ გამხიდი ავის მდომი?
 მათხოვარად გავხდი მეფე — ხერელიც არ მაქვს შესაძრომი...
 მაგრამ სიტყვის გაგრძელება არ ვაცალე მივატოვე,
 წამოსვლის წინ მთელ ევროპის მშრომელთ სიტყვა დავუტოვე:

ხედავთ ვითარმედ, წელს თქვენში ეცემა პანტის ფასია,
 რადგან პანტასებრ ცვივიან მეფენი ევროპაშია,
 ცვივიან სავარძლებიდან „ცილინდრები“ და „ფრაკები“
 ვინც ანგელოზად თავს თვლიდნენ, იყვნენ კი — ავაზაკები...
 დღეს დიდ ქარიშხალს ცნობისხის მოუღუნია სვეტია,
 ბევრი დამპალი ნაყოფი — შიგ ყუნწში მოუწყვეტია...
 ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ „ხილს“ წაუხდა თავის სეზონი,
 ცხოვრებას როდი სჩვევია მიზეზნი უმიზეზონი.

მას დავალება დიადი თქვენთვის დღეს კვლავ მოუტია:
 ამ დიდ ამბების შედეგად მოითხოვს რეგოლუციას...

ფასილანი



„ღ ა მ ე ნ ა ჯ ე ხ ი“

— რა ჰქენი, წუხელი გეძინა?
— თვალიც არ მომიხუჭავს. გუშინ მთელი ღღე მეძინა სამსახურში.

რ ა ქ ნ ა ს ჰ ე ჯ ე ლ ა მ ე ?

მილიციის № განყოფილებაში უჩვეულო ხმაურობა იყო.

— პეტრეჯან. — მიმართავდა თავის წრეში ჯომას სახელწოდებით ცნობილი ახალგაზრდა მორიგე მილიციელს, — შენ ხომ მიცნობ კაცო? მე სადაური ხულიგანი ვარ?

— მაშ ვინა ხარ?

— მე? პატაშონი ვარ. აგერ ჩემი პატიც.

მერე და რას აკეთებთ?

— როგორ თუ, რას სპექტაკლს ვშვრებით.

— რის სპექტაკლს?

— არ გესმის, კაცო, პატი და პატაშონი? მე დაბალი ვარ, ის მაღალი. ნომრებს ვაკეთებთ რაღა!

ქუჩაში?

— აბა აკადემიჩესკი თიატრში ვინ შეგვიშვებს?

მორიგემ მომყვანს მიმართა. ჯომას „სპექტაკლი“ დადგმისათვის ბევრ აქსესუარს არ მოითხოვდა: პატაშონი მგზავრს ფეხს გამოდებდა და მგზავრიც იქვე გამზადებულ კაცს დაეჯახებოდა. პატი ლანძღვას მოყვებოდა, მგზავრი ბოდიშს იხდიდა, პატაშონი ამისობაში მიიმალებოდა, ხოლო მსმენელები ხარხარებდნენ.

— ეს ხომ ხუმრობაა, პეტრეჯან, ხუმრობისათვის ერთი წელი?

ამ დროს მეორე ახალი სტუმრები ეწვია მილიციას: სამი ხულიგანი დაეპატიმრებინათ. სამნივე გადაკრულები იყვნენ. ერთი მათგანი ძალზე ჯავრობდა:

— გაგიგია? მაშ რა ქნას საწყალმა პეპელამ? კარგს იზამ, გიჭერენ, ცუდს იზამ, — გიჭერენ.


— რაშია საქმე? — იკითხა მორიგემ.

— პეტრეჯან, შენ ხომ მიცნობ? ხულიგანი ვიყავი, გამოვსწორდი რაღა. ახლა ეს ორი ახალგაზრდა მახლდა. ცოტა გადავკარით, რამე ხომ უნდა ვქნათ? ვეუბნები, ბიჭებო, ცუდი არაფერი ქნათმეთქი, არაო ამბობენ, მაგრამ რა ვქნათო? მერე გადავწყვიტეთ: ერთმა კარგი ქნას, ერთმაც ცუდი. ვნახოთ რა გამოვა.

ამბავი მილიციელმა განაგრძო. ხულიგნები ჭავჭავაძის ქუჩაზე იდგნენ. ერთი გამვლელებს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. როცა გალანძღული მას გასცილდებოდა, მეორე მივარდებოდა, ბოდიშს იხდიდა და კოცნიდა. მესამე შორიახლო იდგა, გულიანად ხარხარებდა და მგზავრებს არჩევდა, უმეტესად ქალებსა.

— ყველა დამნაშავე ვართ? — არ ცხრებოდა ხულიგანი, — ეს რა ზაკონია? ეს ერთი ხო, დამნაშავეა, აგინებდა, მეორეს რას ერჩით? ხომ არ სცემდა, კოცნიდა რაღა, ეალერსებოდა. ჩემთან რა გინდათ, ვიცინოდი ვმხიარულდები. ვა, ეს რა ხალხია, არც აგინო, არც კოცნო, არც იმხიარულო... მაშ რა ქნას საწყალმა პეპელამ?


სახალხო მოსამართლემ აუხსნა ხულიგნებს, რაც უნდ ჰქნან „საწყალმა პეპელამ“.




1. — სადღაც, „ბუმბულტრესტი“ ადგილკომის თავჯდომარე ტრისტანმა მოლარე ქალი — იზოლდა შეიყვარა.



2. — თქვენი ასი მანეთი მემართა, მაგრამ აბა როგორ შემოგადრებთ ასეთი წვრილმანის დაბრუნებას! — უთხრა მეორე დღეს იზოლდამ ტრისტანს. ტრისტანი კინალამ შაქრად დადნა...




3. — ხელფასი მოვიტანე დასარიგებლად და ერთი ასი მანეთი კიდევ უნდა მასესხოთ. უთხრა მესამე დღეს იზოლდამ ტრისტანს... ტრისტანი კინალამ შაქრად დადნა...



4. — ეს საკაბე მე უფრო მიხდება, შენს ცოლს რად უნდა? — უთხრა მეოთხე დღეს იზოლდამ ტრისტანს. ტრისტანი კინალამ შაქრად დადნა...



5. — შენს ცოლს ამას გარდა სხვა კოსტუმიც აქვს, — ეს მე გამომადგება. — უთხრა მეხუთე დღეს იზოლდამ ტრისტანს. ტრისტანი კინალამ შაქრად დადნა...



6. — ტრისტანი კარგად ვერ მუშაობს. — განაცხადა ადგილკომის კრებზე იზოლდამ. ტრისტანი კინალამ... მაგრამ დანარჩენი სურათზე იხილეთ.



აგერ ბარე 10 წელიწადი იქნება, თუ მეტი არა, რაც ბუხუტი ცუნტრუკაძეს არ შეეხვედრებოდა. ამ ათი წლის განმავლობაში უდიდესი ცვლილებანი და ძვრანი მოხდა მსოფლიოში. ბუხუტი ცუნტრუკაძე ისეთივე დარჩენილა, როგორც იყო; მასზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია არც მსოფლიოს ამბებსა და არც დროის ამ ხანგრძლივობას.

ვერ ვიტყვი ტყუილს, ცილს ვერ დავწამებ, რომ ვთქვა — ბუხუტი ცუნტრუკაძეს არ აინტერესებს მსოფლიო ამბები-მეთქი. პირიქით, ძალზე აინტერესებს: მიუხედავად იმისა, რომ გაზეთების კითხვა მაინცდამაინც არ უყვარს, რამდენიმე გაზეთი აქვს გამოწერილი.

როცა სხვები ლაპარაკობენ, ბუხუტი აუცილებლად იქვე გაჩნდება და ხელად ჩაერევა ლაპარაკში.

— ახლა გერმანია კისერს მოუგრებს ინგლისსაც, — თქვა ერთმა.

— არა, უხატრებს, მოუგრებს, აბა რას უზამს! — იზიარებს ბუხუტი ამ მოსაზრებას.

— არც მაგრეა საქმე. ინგლისი გერმანიის ყველაზე უძლიერესი მტერია; ისინი ვრთმანეთს ჯერ სერიოზულად არ დაჯახებიან. ინგლისს გვერდში უდგას თავისი კოლონიები და დომინიონები; — თავისი აზრი გამოთქვა მეორემ.

— რა თქმა უნდა, ინგლისი არც ისე ხელწამოსაკრავია. მისი კალორიები და დომინიონები, უუჰ, რა ძლიერია იცი! — ამბობს ბუხუტი ცუნტრუკაძე

— კალორია კი არა, კოლონია — ბუხუტი უსწორებს ერთი.

— კოლონებს ვამბობ მეც, აბა რას ვამბობ? — მიუგებს ბუხუტი.

ფინეთი და ფინლანდია ბუხუტის სხვადასხვა სახელმწიფო ჰგონია, და ფინლანდიას ხშირად ურევს ფილადელფიაში, ხოლო ეს უკანასკნელი სად მდებარეობს, არც კი იცის.

მაგრამ ეს რაა!

სახელმწიფოების გეოგრაფიული განლაგება არა აქვს მოწესრიგებული. ერთმანეთში ერევა შვეცია და შვეიცარია. დაავლებს ხელს ამ სახელმწიფოებს, თითქოს კატის კნუტებიანო, და ადგილს უნაცვლებს: შვეცია შვეიცარიაში აღმოჩნდება, ხოლო შვეიცარია — შვეციაში. იმას კი არ კითხულობს ბუხუტი, რომ გაჭიმული შვეცია ვერ მოთავსდება მთებში მოქცეული შვეიცარიის პატარა ტერიტორიაზე, ხოლო მზიან შვეიცარიას გაუჭირდება ცივ ჩრდილოეთში არსებობა.

ერთხელ ბუხუტიმ ამერიკიდან მექსიკა კორსიკაში გადმოიტანა და კორსიკა — ნაპოლეონის სამშობლო, კორეიაში გადაისროლა, ხოლო კორეია მგონი სულ გააქრო დედამიწიდან. სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკა ურავ-

ვია უნგრეთში გადმოიტანა, ხოლო უნგრეთი — იქით.

ბუხუტიმ ცალკეული სახელმწიფოები კი არა, მატერიკებიც არ დაინდო:

— კაცო, გაიგეთ ჰიტლერმა ავსტრალია გერმანიას რომ შეუერთა?

და როცა გაუსწორეს არა ავსტრალია, არა-არამედ ავსტრალია, — მას კიდევ ეუცხოვა ასეთი სახელმწიფოს — ავსტრიის არსებობა.

ბესარაბიის ამბებთან დაკავშირებით, ცუნტრუკაძემ ბესარაბიას ძებნა დაუწყო არაბეთში და, როცა რუკაზე ნახა არაბეთი, გაუკვირდა:

— კაცო, ეს ბესარაბია ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფო რომ არ ყოფილა! მაგრამ არა უშავს. საბოლოოდ მაინც ხომ ყველგან უნდა დამყარდეს საბჭოთა ხელისუფლება!



როცა ჩვენი არმია ბუკოვინაში შევიდა და ჩერნოვიცი დაიკავა, ბუხუტიმ თავისი აზრი გამოთქვა საფრანგეთის სამხედრო ძლიერებაზე.

— მე არ მეგონა, თუ საფრანგეთს ამაზე მეტი არ შეეძლო. აწი მას ფედერალური (ფელდმარშალი), პატენი (პეტენი) კი არა, ნაპოლეონი (ნაპოლეონი) რომ გაცოცხლდეს, მაინც ვერ უშველის!

ბუხუტი ცუნტრუკაძე ნაკლებ საინტერესო როდია ხელოვნების შესახებ საუბრის დროსაც.

მას თუ დაუჯერებთ, მიაკოვსკიმ და ჩაიკოვსკიმ ერთმანეთზე უდიდესი გავლენა იქონიეს, მაგრამ არა შემოქმედებაში, არამედ

მათი გვარების, ასე ვთქვა, ლინგვისტიკურ გამოთქმაში.

— პოეზიაში მე მწამს, — თქვა ერთ საუბარში ბუხუტიმ, — მიაკოვსკი, ხოლო მუსიკაში — ჩაიკოვსკი.

საკვირველია, ბუხუტი რატომ გამოთქვამს ჩაიკოვსკის გვარის გავლენით მიაკოვსკის გვარს და, პირიქით, მიაკოვსკის გვარის გავლენით — ჩაიკოვსკის გვარს? ამ საკითხის გამოკვლევა ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიისათვის მიგვინდვია.

და აი, ბუხუტი ცუნტრუკაძე ამასწინათ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა.

— რედაქციის დირექტორი თქვენ ბრძანდებით? — ჰკითხა მან ნიანგს.

— დიახ, მე გახლავარ რედაქტორი!

ჰო, უკაცრავად, რედაქტორი, მაგრამ სულერთია; დირექტორად ვარ დიდხანს ნამყოფი და ამიტომ შემეშალა. მე მინდა თქვენთან ვითანამშრომლო და აი, პატარა ლექსიც კი მოვიტანე, ახლა გამოვთქვი ექსპრონტად ქუჩაში! — და ბუხუტიმ წაიკითხა ლექსის შემდეგი ტაეპი ესტონეთის პრეზიდენტის სმეტონას გაქცევაზე:

**როცა სახლში წაიქცა
პრეზიდენტი სმეტონა —
საზღვარგარედ გაიქცა,
დე, იქ ჰამოს სმეტონა.**

ნიანგს გაეღიმა და ეს გაღიმება ბუხუტიმ თავისი ლექსის მოწონებლად მიიღო.

— რას მივიღებ ამაში ახლა? — ჰკითხა ბუხუტიმ.

ნიანგს ჯერ გაუკვირდა, მაგრამ გაეღიმა.

— არაფერს.

— აბა უგონოროდ ვინ დაწერს რამეს! ჰოო, — გაუკვირდა თითქოს ნიანგს, — თქვენ ჰონორარის შესახებ ამბობთ, არა?


— დიახ, ჰომორალის შესახებ, მაგრამ ეს არაფერია. მე რედაქციაში მუშაობა მაინტერესებს. სად არ მიმუშავნია: მასწავლებლად, ფინ-ინსპექტორად, საქმეთა მმართველად, ბუ-ლალტრად, მაგრამ ჩემი მოწოდება ვატყობ, რომ კალამია, ესეც იცოდეთ, მცირე ხელფასზე ვერ გავჩერდები. თუ 1 000-ზე ნაკლები მანეთი ხელფასი მექნება, ნოქრად წავალ, ის მიორჩენია...

... და, მართლაც, ბუხუტი ახლა ერთერთ სავაჭროში ნოქრად მუშაობს.

ი. ხინგელი



— ჩვენი მეტაბელე რომ იმდენად გაპატიოსნდეს, და ხელმოსაწერი წიგნი რესტორანში მოგვიტანოს, რითაც სამსახურში მისვლით არ გავგსაჯოს, მის სადღეგრძელოს უფრო გულით დავლევდი.



— უკაცრავად, ქალიანი ბავშვისთვის წინა ბაქნიდან შეიძლება?

ეჭვანი და „კაფეტერი“

კაფეტერი მომზარებლისათვის მეტად ხელსაყრელი წარმოებაა. მიხვალ სასაუზმოდ და სახელდახელოდ ლებულობ კარებში მოცემულ ბარათით პურს, ყოველგვარ პროდუქტს, სწრაფად იხდი ბარათის მიხედვით ფულს სალაროში და შენს საქმეს ეშურები. (მოტყუებული მოქალაქის დღიურიდან.)

გავხდი ჩემი თავის მტერი ვინახულე კაფეტერი რა ბარათი ვიგდე ხელში გავიმართე კაცი წელში.

ვთქვი: „კარტიჩავ“ უცნაურო, შენ მე უნდა დამაპურო!

ვიცი რომ გაქვს ძალა დიდი, აირჩიე კერძი, მიდი,

სულ ნისიათ იგდე ხელში გადაუძახო რაც გსურს ყელში.

ვინც გვირიგებს ასეთ ბარათს „ცხონდეს იგი აწ და მარად“

მაგრამ ფიქრი შეგეკვეცა, როს მივადექ გრძელ მწკრივს მეცა.

პურის რიგი იყო „კობტა“ რიგში იდგა თებრო, კოსტა,

რიგს უცდიდა ვანო, ნიკა, მაკრინე და სათენიკა.

მწკრივი იყო თვალწარმტაცი, რიგში იდგა ასი კაცი (თითქო ორი გამყიდველი პურს რომ ყიდდეს, — არის ძნელი).

მივატოვე პურის რიგი, დიდ დროს ნთქავდა რადგან იგი და ბუფეტთან მდგომა ხელით, ბუტერბროდი გიახელით.

თანაც ჩემს თავს ვუმადლიდი, რომ გადავრჩი რიგში ლოდინს.

რომ კაცი ვარ თავდაბალი, მიჭრის ჭკუა, მიჭრის თვალი, გამოსავალს ვნახავ ხელად დაბრკოლება დამძლევს ძნელად.

მაგრამ ტყვილა ვიბაქები თურმე კაცი თავის ქებით დაბრკოლებას გადულახავს წინ წავაწყდი ქორფას, ახალს,

აქ ურიგოდ გავჩნდი შიგ და... გარეთ გასვლა აღარ გინდა?!

სალაროსთან რიგი იყო, კილომეტრზე გაშლილიყო, (თითქოს ერთი მოლარეცა რომ შემატონ, დაგვეგობს ზეცა).

გადაექრა ოფლი სახეს, რომ ვერ ავცდი, მივხდი, მახეს.

(მე ბუნების წესის ბორბალს უკუღმა ვერ ავაბრუნებ, კუჭში ჩასულ ბუტერბროდსა უკან ველარ დავაბრუნებ!)

გაბმული ვარ, როგორც მტრედი, ასეთია ჩემი ბელი.

ჩავდექ რიგში როგორც ლანდი... ..სამსახურში დავგვიანდი.


ვაილოვა

ამის შემდეგ თვალს ვაცეცებ და ბაზარში ეშვანს ვეძებ, მინდა იგი ფეხზე მეხას რომ არ მივცე დავიწყებას

მიცემული თავთან ფიცი, წრფელი გოძნობით განამტკიცე:—

მომავალში კაფეტერი მისი კარი, მისი ქერი,

არასდროს არ ვინახულო, თუნდ წელიწადს ვიმარხულო.



გაგონში სამარისებური სიჩუმე იყო. ტინრსაქეთ, ჩემს გარშემო ათამდე კაცი იჯდა. მათ- შორის: მელორი კაცი — ექიმი ივანე ცირეკიძე, ქართ- ლელი გლეხი, ჩოფური, უკვე ჰალარაშერეული და ბავ- შვიანი ქალი, რომელსაც თან ახლდა ლამაზი გარეგნო- ბის მქონე ახალგაზრდა კაცი. მოპირდაპირე კუთხე დაეკავებინა ალკოჰოლისგან ნატანჯი სახის პატრონ შუახნის მამაკაცს და სუფრის ღვინის იარლიკიდა აკლ- და შუბლზე, რომ კახურით სავსე ბოთლი წარმოგედ- გინათ.

ბავშვმა, სამიოდე წლის ცქრიალა გოგონამ, ვეებერ- თელა დედოფალა რომ ეჭირა ხელში და ჩუბად ეალურ- სებოდა—სიჩუმე დაარქვია: დედოფალას მგრად აკო- ცა ორჯერ და სთქვა:

— ეს ცემი სვილია, აიძ ძიამ მიკიდა, მე კი დედას სვილი ვალ.

— მე ვილას შვილი ვარ, დედიკო?—შეხუმრა ექიმი ცირეკიძე — და ბავშვის დედას მოსაუბრის სახელი გა- მოჰკითხა.

— ნაწული ჰქვიან, —ცალყბად სთქვა დედამ.

ექიმა კვლავ გაუმივრა შეკითხვა ნაწულის:

— მაშ არ მეტყვი, მე ვილას შვილი ვარ?

— სენ კიდევ ცემი დალიკოს სვილი ხალ. — მიუგო ბავშვმა და დედოფალაზე მიუთითა.

ყველას გაეცინა, გარდა დედისა.

მცირე სიჩუმის შემდეგ ივანე ცირეკიძე წამოდგა და ცოცხალ „ბოთლს“ საუკეთესო ხარისხის პაპროსი შესთავაზა.

კუთხეში მჯდომი ცოცხალი „ბოთლი“, რომელიც გაზეთის ქალაღში გახვეულ წვეკოს კვამლსა და იმავე ქალაღზე დაბეჭდილ ათასგვარ ახალ ამბებს ჰყლაპავ- და, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

— კი... მგრამ... — წამოიბურტყუნა მან.

— მიირთვით, მიირთვით. მოწიეთ, — დაბეჯითებით გაუმივრა ექიმი—მოგეწონებთ, უმაღლესი ხარისხის პაპროსია.

— კი მგრამ... რაზე სწუხდებით?

— იცით რა, მეგობარო, მოდი თუ გეწინებთ აგერ იმ ბავშვს ხომ ჰხედავთ? მე მგონი აწყყენს წვეკოს კვამლი. ეს პაპროსი კი...

უცნობმა სთქვა:

— მაშ მე ტუტუტი ვყოფილვარ, რალა...

შემდეგ ოცამდე სანტიმეტრის სიგრძის წვეკოს პაპი- როსი ფანჯარაში გადააფრინა და შემარბებლის კი- ლოთი დაუშობა:

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალთ!

ქართლელმა გლეხმა, რომელსაც შემდეგ შევიტყვეთ, რომ მისა რქმეოდა—„ველარ მოითმინა“, ბატბუტივით თეთრი კბილები გამოაჩინა და ივანეს მისამართით სთქვა:

— აი შვილიშვილიც ასეფი უნდა, ჰხედავთ როგორ უფრთხილდება თავის ბებბას?

ექიმს გაეცინა და ბავშვს დარბაისელი კაცის თავმ- დაბლობით გამოელაპარაკა:

— ბებბა ნაწული, მსხალი გიყვარს?

— ალა, მე ატამი მიკვალს.—თამამად მიუგო ბავ- შვმა.

— კიდევ რა გიყვარს?

— კიდევ დედა მიკვალს.

— კიდევ?

— კიდევ მამა.

— კიდევ?

— კიდევ ცემი დალიკო.—და ბავშვმა თითქო ჩრდი- ლოეთის ყინვას შეუშინებიაო, ორმაგად შემოახვია შა- ლი თავის დედოფალას.

მგზავრთაშორის კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამო- ვარდა. ნაწულიმ სამ-ოთხჯერ დაამთქნარა და დედის დაწმარებით, თავის დედოფალასთან ერთად მიიძინა. ივანე ცირეკიძემ თავი ჩაქინდრა და თვალის მოატყუი- ლა. უცნობი, ალბათ წვეკოს მისაწვეად, გარედ გავი- და. ქართლელი მინა ვაგონში სეირნობას მოჰყვა. ნაწუ- ლის დედა და მასთან მყოფი ახალგაზრდა კი თვალემ- ში შეჰყურებდნენ ერთიმეორეს და წამდაუწუმ ელიმე- ბოდათ.

მყუდროება ახლა რევიზორმა დაარღვია, სამგზავრო ბილეთების გასასინჯად მომავალმა.

— იცით რა,—ბავშვს ნუ გააღვიძებთ.—მოქნარებით

მიმართა ძილდამფრთხალმა ექიმმა ვაგონის გამცილე- ბელს, რომელიც განცდით გაჰყვიროდა: „ბილეთები მოამზადეთო“.

— ბატონი ბრძანდებით!—სთქვა გამცილებელმა.

რევიზორმა ბილეთების უხმოთ გასინჯვის შემდეგ ორი ქარვისფერი ატამი ამოუღო სასთუმალსკვეშ ბავშვს. თან ღიმილით „ანდერძი“ დატოვა:

— გადაეცით: რევიზორმა დაგაჯილდოვით წესიერი მგზავრობისათვისთქო.

და გზა განაგრძო.

მინამ, რის გულისათვის თითონაც არ იცოდა, ხურ- ჯინი გახსნა, პატარა ბავშვის პერანგი და სათამაშოე- ბი ამოალაგა და პერანგის მისამართით ყველას გასა- გონად სთქვა:

— მუქთია, მაშ რა, თერთმეტი აბაზი!

— მართლაც რომ იაფია, — დაუდასტურა ცირეკი- ძემ.

— შვილიშვილისათვის გინდათ? ბედნიერი პაპა ყო- ფილხართ. — მიმართა ახალგაზრდამ, ნაწულის დედას რომ ახლდა

მინას გაეღიმა, ორჯერ ზედიზედ გადისვა უღვაშზე ხელი და სთქვა:

— შვილიშვილი კი არა, ამ სიბერის ქამს ღმერთი გამიწყრა და...

— ჰო... — ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო ექიმი.

— ღმერთი გამიწყრა და ბიჭი მეყოლა.

თან, ექვი რომ არავის დაებადოსო, დამატა:

— წვერულვაში აკლია, თორემ, ისე, ზედ გამოტრი- ლი მე ვარ.

— ყოჩად, ბიჭო! — გაეღიმა ექიმს.

— რა ვიცი, — განაგრძო მინამ, — მთელი ჩემი ახალ- გაზრდობა ბალღზე ვფიქრობდი, ბერწი დედაკაცი გა- მომადგა მეთქი, ვამბობდი და საყვედურებით ვანბრ- ჩობდი ცოლსა. ახლა კი ასე მოგვივიდა, ღმერთი გა- გვიწყრა ამ სიბერის დროსა.

წვეკოს მოყვარული კაცი შეიშმუნა, უქმურ სახეზე ღიმი გადაეკრა და მინას მიმართა:

— თუ ძმა ხარ!..

— რა?

— მართლა აგრე იყო? მართლა გეყოლა შვილი შენი, საკუთარი?

— მოწმებებს ვერ მოგიყვან და ისე...—ცოტა არ იყოს იწყინა მინამ.

— ჰაი დედასა!—ნერვიულად წამოიძახა ცოცხალმა „ბოთლმა“ და მუხლზე მუშტი დაირტყა.

— რა დაგემართა, ძმობილო?—ნამდვილი ჭირისუ- ფალივით ჰკითხა ექიმმა.

წვეკოს მოყვარული კვლავ მინას მიუბრუნდა:

— ვითომ რამდენი წლისა იქნები?

— აბეიმე!—გაცხარდა მინა,—რა ჭირათა ვთქვი, შენ რომელი აკუშერკა ხარ, რას გადამეკიდევ.

— მაინც, მაინც?

— ორმოცდათორმეტისა.

— ყოჩად, ბიჭო!—რალაც მხიარულად წამოიძახა წვეკოს მოყვარულმა და ბოდიშის მოხდის მაგიერ ამ- ბავს მოყვა:

— იცით რა, რათა ლოთობო, გადამკიდებინან. მაშ, რას ვიზამ, თუ ძმა ხარ, აი, ვთქვით ფული გაქვს, ქო- ნება, ქვაცა და კაკალიცა. მაშ არ დალევ? მუხუთე დე- დაკაცი მყავს და მაინც არაფერი. ჩემზე უნცროს ძმას შვიდი შვილი ყავს. მე აგერ, მალე, ალბათ მეშვიდე ცოლსაც გამოვიცვლი და კიდევ ფუკა მომივა, ძნელია, ჩემმა მზემ...—და კვლავ მინას მიუბრუნდა — მაშ ორ- მოცდათორმეტისა ხარ?

— აგრე უნდა ვიყო...

— მე ოცდაცხრამეტისაც არა ვარ ჯერჯერობით, — გული დაიღიმედა მან.

ერთხანს ხმას არავინ იღებდა: უცდიდნენ, კიდევ რა- ლაცას იტყვის გულნატკენი უცნობიო, მაგრამ სიჩუმე მხოლოდ ახალგაზრდა კაცმა დაარღვია. მან ნაწულის დედას მიმართა:

— მარო, იცი, რომ უკვე გორში შევიდვართ?

— მართლა? მერე?

— არ ჩავიდეთ?

— ჰო, უნდა ჩავიდეთ...

— ბავშვს, აგერ, ამხანაგები მიაქცევენ ყურადღებას... ხომ არ შეწუხდებით ცოტა ხანს ბავშვი რომ დაგიტო-

ვით? ჩვენ სადგურზე გადავალთ... ატამს, რასმე ვუყი- დით გოგონას.—მიმართა ახალგაზრდამ ექიმს.

— როგორ გეკადრებათ! სიამოვნებით... — ნაწულის დედა და მასთან მყოფი ყმაწვილი კაცი კარებისკენ გაეშურნენ. გზაზე ვაჟმა—გააჩხრა ქალი და ხმადაბლა მიმართა:

— კი მაგრამ, ლია თავს მოიკლავს. რამდენი ხანია პირდები.

— რა გახდა შე კაცო ერთი... მე გიყიდი, თუ ასე გაჭირდა.

— მარო, კარგი, ასე გულჩვილობაც არ ვარგა. შენ კიდევ სტყუიხარ...

ქალს, ალბათ სიბრაზისაგან, ლოყები აელანდა, ერთ- ხანს თავჩაქინდრული იდგა, ეტყობოდა, რალაც მძი- მედ გადასატრულ საკითხზე ფიქრობდა, შემდეგ ფიც- ხლავ მოტრიალდა უკან, ბავშვთან მივიდა, მძინარეს ნელი-ნელ გამოაპარა ხელეზეში მაგრად ჩაბლუჯული დედოფალა, ორჯერ აკოცა შვილს შუბლზე და გზას გაუდგა...

— არა მგონია რომ ჯერ ორმოცდათორმეტისა იყო არ შეიძლება. — კვლავ ჩააცვიდა წვეკოსმოყვარული მინას.

— რა გინდა, ძმაო, ახლა ხო არა მრთავ ცოლსა, სულ ერთი არ არი რამდენისაც ვარ? — ისევ გაბრაზ- და მინა.

— არა, რაც არ უნდა იყოს, მაინც არ იქნები ორ- მოცდათორმეტისა!

— ტიში ვასემსოტ ვოსემდესიატ გოდა ვარ, გამაი- თვალე და ვნახოთ.

წვეკოს მოყვარულმა ანგარიშწარმობისათვის თითე- ბი მოიმარჯვა. ათეულეები ხმამალა გათვალა, ერთე- ულები ჩაიფიქრა და მართლა ორმოცდათორმეტი გამოვიდა.

— ძალიან გივაჟკაცია, ძმაო, — სთქვა ბოლოს...

ბავშვმა გადაფარებული ზეწარი გადისხდა და ივანე ალექსანდრეს-ძემ იმ წამსვე გადააფარა.

მატარებელი დაიძრა, ნაწულის დედას, რომელიც უკვე აღარავის ახსოვდა—დაავიანდა ვაგონში შემოს- ვლა.

მცირე ხნის შემდეგ ვაგონის გამცილებელი შემო- ვიდა, ხელში კონვერტი ეკავა. მან ივანე ცირეკიძე იკი- თხა, რომელია თქვენშიო, სთქვა და კონვერტი გა- დასცა.

გაკვირვებამ და ცნობისმოყვარეობამ ფერი უცვალა ექიმ ცირეკიძეს. მან კონვერტი გახსნა, სასწრაფოდ წაიკითხა ბარათი, ვაგონის ფანჯარასთან მოწყობილ მაგიდას ნერვიულად დაჰკრა მუშტი და დაიყვირა:

— მამაძალელები!..

ხმაურობაზე ბავშვს გამოეღვიძა, თვალეები მოიფშვნი- ტა და დედოფალას დაუწყო ძებნა. შემდეგ ხმამალა ატირდა:

— სად აღის ცემი სვილი, ცემი დალიკო...

წვეკოს მოყვარულმა, დაინტერესებულმა ექიმ ივანე ცირეკიძის სიშმაგით, ძირსდავარდნილი ბარათი აიღო და ხმამალა წაიკითხა:

„უცნობო ამხანაგო ივანე!

შეგნებულე კაცი სჩანხართ და იმედია არ დამძრა- ხავთ. ცნოვრებაში ყველაფერი ხდებდა. მე, როგორც უკვე იცით, მაგ ბავშვის დედა ვარ. ბევრს არ გავაგრ- ძელბე და გეტყვით, რომ ქმარს თავს ვანებებ. მე გორ- ში ვრჩები. ვგ ბავშვი გადაეცით ხაშურში, ჩემს ქმარს ალექსი წიქორიძეს. იგი სადგურზე დაგიხვდებათ და ბავშვზე გიცნობთ“.

წერილის ბოლოს ავტორის გვარისა და სახელის მა- გივრად ეწერა: დიდ ბოდიშს ვინდი შეწუხებისათვის“.

მინამ, რომელიც სიბრაზისაგან კარგახანს ხმას ვერ იღებდა ძალათი იხუმრა:

— კაია, ღმერთმანი! კაცი ცოლს მიელოდებდა ხაშურ- ში. ახლა კი, ლამაზი ქალის მაგივრად თქვენ გადახ- ვალთ და ბავშვს გადუყვანთ. არშიყობა კი არ დაგიწყ- ყოს, აი!

გადაფითრებულ ექიმს ყურადღება არ მიუქცევია,— კვლავ დაჰკრა მუშტი მაგიდას და ერთხელ კიდევ და- იყვირა:

— მამაძალელები!..

— ბავშვი-კი, უდედოთ დარჩენილი პატარა ნაწული, ტიროდა სულელის, დედოფალას თხოულობდა, ჩემი შვილი სად არისო, მდულარებას აბნევედა. თითქო ეს- მოდესო როგორი უნდა იყოს ნამდვილი დედა



ჩვენს სახლში ცხოვრობდა ერთი ოჯახი: ცოლ-ქმარი და მათი ვაჟი, თორმეტი წლის ყმაწვილი.

ქმარი წარმოებაში მუშაობდა. ცოლი ოჯახურ საქმეებზე ზრუნავდა. ვაჟი კი სკოლაში დადიოდა.

ყველაფერი კარგად და საუბროდ მიდიოდა.

გამოსასვლელ დღეს აწყობდნენ ქალაქკარედ გასვლას, ბავშვი ყოველთვის წინ მიუძღოდნენ. საღამოობით ეწყობოდა კულტურაშქრობა: მიდიოდნენ კინოში, ან კბილის ექიმთან. რეგულარულად დადიოდნენ აბანოში და სხვადასხვა

ერთი სიტყვით, ეს იყო კარგად შეწყობილი, წყნარი ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია.

ერთ მშვენიერ დღეს სამუშაოდან დაბრუნებული ქმარი მიდიოდა თავის ბინაში. კიბეებზე უცებ მას დაეწია ახალგაზრდა ქალი. ძალიან სანდომიანი და ლამაზი, საკმაოდ კარგად მორთული — ხელში ყვავილებით.

როცა ის დაინახა, ჩვენს ნაცნობ ქმარს, ცოტათი გააჟრჟოლა კიდევც, ვინაიდან ქალი ძალიან მოეწონა.

ქალმა კვლავ გაუღიმა და აფრინდა ერთი სართულით ზევით.

აი გადის, თითქმის ერთი თვე და ჩვენი ნაცნობი ქმარი ისევ ხვდება იმ ქალი-შვილს, იმავე კიბეებზე.

ისინი ერთმანეთს გადახედავენ, გაუღიმებენ. მათ შორის, იმართება პირველი საუბარი, საიდანაც ირკვევა, რომ ახალგაზრდა ქალი ცხოვრობს იქვე, თავის დედ-დასთან ერთად. ის 19 წლისაა. მას, როგორც იტყვიან, თავისი გზას აქვს — სწავლობს ჭრა-კერვის სკოლაში.

რასაკირველია, თავისი ბედით კმაყოფილია. მაგრამ არც ისე ძალიან, რადგან ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის და ამჟამად კი არაფერი განსაკუთრებული.

და აი, გადის კიდევ ერთი თვე და ჩვენი ნაცნობი ქმარი იწყებს მასთან ერთგულად სიარულს. ის შედის ქალთან სტუმრად, ესაუბრება სხვადასხვა თემაზე მას და დედამისს. და ხდება მათ ოჯახში, ასე ვთქვათ, შინაურ კაცად.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმას შეუყვარდა ქალი თავბრუდარბევით. და, ვინაიდან გაბედული კაცი იყო, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ცხოვრების მთლიანად შეცვლა.

ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა ცოლთან ლაპარაკს, ცრემლებს და მოთქმა-კენესას. და, დაბოლოს, კაცი გადდის ბინაში ერთი სართულით მაღლა.

ის იტყევა, რამდენიმედ კეთილშობილურად. ყველაფერს უტოვებს თავის ოჯახს. თან მიაქვს მხოლოდ ჩემოდანი თავისი თეთრეულით და ტანისამოსით.

ჰპირდება ცოლშიღს, რომ მისცემს თავისი ჯამაგირის თითქმის მესამედს, მაგრამ ეს ვერ ამცირებს მისი ცოლის მწუხარებას. და იქ ადგილი აქვს გულს შეღონებას, ტირილს და ვაჟის ზღუტუნს. იშლება სევდიანი სურათი ოჯახის დანგრევისა და აფორიაქების.

მაგრამ საქმე გათავებულია. უკან დასახვევი ხიდეები აფეთქებულია. ჩვენი შეყვარებული კაცი, როგორც იტყვიან, ტყდება ბედნიერებით თავის ახალ მეგობართან. მაგრამ მისი ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება. ის უმცროსი სათადარიგო მეთაურია. მას იწყებენ წითელ არმიის და გზავნიან კარელიის ყელზე.

გამგზავრებისას ალფრისით ეთხოვება თავის ცრემლოვრეულ რიტას.

ის უგზავნის რიტას ფრონტიდან მოკლე ბარათებს, რომლებშიც ასწერს ბრძოლის მკაცრ ცხოვრებას, საშინელ ომებს და ჯოჯოხეთურ ყინვებს. მის წერილებს ანასიათებს გამბედაობა და სიმამაცე. ამ წერილებში ლაჩარი კაცის გაუბედავი ლულულული კი არ ისმის, არამედ მამაცი უმცროსი მეთაურის ომბიანი ხმა, ვისთვისაც მოვალეობა მაღლა დგას პირად კეთილდღეობაზე.

მაგრამ აი, წერილები მოდის თანდათან უფრო იშვიათად და ბოლოს სასევდით წყდება. რიტას არ ესმის რას უნდა ნიშნავდეს ეს. უკვე მარტია, ომი დამთავრდა. წერილები კი არა ჩანს.

და აი, ერთხელ მოვიდა ბარათი. რიტამ გადაიკითხა ის და გრძობა დაჰკარგა. გულწასული დაეცა. დედამ მას წყალი ასხურა, რომ ცნობაზე მოეყვანა. როცა გამოცოცხლდა, რიტამ წაუკითხა თავის დედას წერილი, სადაც ეწერა: „ძვირფასო რიტა, მე დავიჭერი. დაეკარგე ფეხი. ახლა მე ინვალიდი ვარ, საპყარი. მომწერე დაწვრილებით, თანახმა ხარ, რომ მიმიღო, თუ ჩემთვის უმჯობესი იქნება დაერჩე სახელმწიფო კმაყოფაზე?“

დედა და ქალიშვილი მთელი დღე მსჯელობენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ბოლოს მისთვის მზად არის, თანაგრძობითა და მწუხარებით აღსავსე წერილი; მაგრამ ამასთანავე ერთად წერილში ნათქვამია, რომ არც ისე ადვილია მისი მიღება. ვინ უნდა მოუაროს მას? განა შეუძლიან ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ახლა დაიწყო ცხოვრება, მთელი სიცოცხლე შესწიროს მას? საჭიროა ამ საქმის კარგად აწონ-დაწონა. მით უფრო, რომ სახელმწიფო ვალდებულია მოუაროს მას.

მაგრამ გადის რამდენიმე ხანი და მისი პირველი ცოლი, ანა სტეფანეს ასულიც, იღებს ასეთსავე წერილს. „დაიხ — სწერს ის, — ძვირფასო ანიკო, მე ახლა საპყარი ვარ. მიპასუხე მიმიღებ თუ არა ასეთ მდგომარეობაში მყოფს?“

ამ წერილის მიღება ისეთ გავლენას ახდენს თითქოს ნაღმი გასკდაო. მაგრამ იმავე დღეს, ყოფილი ცოლი უპასუხებს:

„ძვირფასო მეგობარო, ივანე ნიკოლოზის-ძე, ცხარე ცრემლით ჭტირი შენი დაჭრის გამო. როგორც ჩანს, ბედს გადაუწყვეტია, რომ ჩვენ ერთად ვიცხოვროთ. რატომ კითხულობ: მიგიღებ თუ არა? მომწერე საჩქაროდ, სად უნდა მოვიდე შენს წამოსაყვანად. მე ვიმუშავე. შემდეგ ჩვენი პეტეკო წამოიზრდება და ყველაფერს ვშველება.“

მაგრამ გადის რამდენიმე დღე, და აი რას ვხედავთ: ალაყაფის კარებთან ჩერდება მანქანა. მანქანიდან გადმოდის ივანე ნიკოლოზის-ძე. ის მრთელია და უხვბელი. ფეხები თავის ადგილას აქვს. მკერდზე კი ახალი ორდენი უბრწყინავს.

ყველა მობინადრენი, რომელნიც იმ დროს ეზოში იყვნენ, პირს აღებენ უდიდესი განცვიფრების გამო.

სახლმმართველი მიიბრუნს მასთან და ეუბნება:

— როგორ უნდა გავიგოთ ეს, ივანე ნიკოლოზის ძე? წერილის მიხედვით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ თქვენ სხვა მდგომარეობაში გნახავდით.

მოსული სახლმმართველს ხელმკლავს გაუკეთებს და ეუბნება;

— ძვირფასო მეგობარო! რა თქმა უნდა, როგორც ჩანს, მოვიქციე არასწორად. მკაცრად და სხვადასხვა. მაგრამ მკაცრმა ცხოვრებამ მაიძულა დავფიქრებულყავი. მე გავიფიქრე: რა უხეთ თუ მომკლავენ, მაგრამ თუ მე დავკარგავ ფეხს, ან ხელს, მაშინ რა მომეღის? მე ცოცხლად წარმოვიდგინე ეს სურათი და იმ მომენტში გადაწყვიტე ჩამედიანა ის, რაც ჩავიდინე. და ამას არც ვნანობ, ვინაიდან ახლა ვიცი, თუ ვისთან უნდა ვიცხოვრო, რადგან ქორწინება მარტო გასართობი საქმე კი არაა.

სახლმმართველი ამბობს: — რა თქმა უნდა თქვენ ცოტა გადააჭარბეთ გამოცდის საქმეში. ეს, ასე ვთქვათ, აკრძალული ხერხია. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. სულით და გულით გილოცავ წითელი დროშის ორდენის მიღებას.

ამის შემდეგ ივანე ნიკოლოზის-ძე ავიდა თავის სართულში, თავის პირველ ცოლთან, ანა სტეფანეს ასულთან. და რა მოხდა იქ პირველი ხუთი წუთის განმავლობაში, რჩება გამოუცნობი.

ცნობილია მხოლოდ, რომ პეტეკომ, თავისი პირადი ინიციატივით აირბინა ზემო სართულში და მალე იქიდან ჩამოიტანა მამამისის ჩემოდანი, რომელშიაც იყო თეთრეული და ტანისამოსი.

იმავე დღეს ივანე ნიკოლოზის-ძე ნახულობს რიტას. ის მას სთხოვს აპატიოს და უკოცინოს ხელს, თან ეუბნება, რომ იგი დაბრუნდა სულ სხვა კაცად და რომ წარსულისაკენ დაბრუნება მისთვის შეუძლებელია.

ისინი ეთხოვებიან ერთმანეთს უფრო მეგობრულად, ვინმე მტრულად. რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა ქალი ნანობს მის დაკარგვას. მაგრამ მისი სინაწული ზომიერია, რადგან ქმრის შორს ყოფნის დროს მას მოეწონა ერთი კაცი.

გულჩვილი კახი

თბილისის ცენტრალურ ბაზარში მილიცია სუსტად ებრძვის სპეკულაციას.

სინამდვილიდან

ნახ. დონისა



მილიციელი: (გადამყიდველს) — მღუპავ, კაცო? რას მერჩი, უბეველად ჩემს თვალწინ უნდა ივაჭრო?

თარგმანი გ. შირიშვილისა

მიჯანი და შალავი

- გამიშვი!
- არ გაგიშვებ!
- გაიწი იქით!
- შენ თვითონ გაიწი!
- დედააავე!
- მიშველევით!
- აბა, ვნახოთ, თუ არ გამეცლები!

მოდის ბრგე ვაჟკაცი. იგი მთელი ძალით აწვება ხალხს, თითქმის არღვევს შეჭურბულთ, მაგრამ ბოლოს იღლება და შუაგულში გაეჩხირება.

მოდის კიდევ უფრო ღონიერი. იგი ხელს სტაცებს 12-14 წლის ბიჭს, მიიტანს „რიგში“ მდგომებთან და ხედ მიახლის, შემდეგ ხელით აწვება.

- ვაი, გამჭყლიტეს!
- ფენი მომტენეს!
- მკლავი, მკლავი!...
- გული!...
- მკერდი!...
- არ მინდა! გამიშვით!

რალა დროსია. თუ წრეში შეხვედი, ვეღარც გამოხვალ, ვერც წინ წახვალ. ხის სალაროს ჭრიჭინი გააქვს, ასე გგონია, საცაა წაიქცევა.

— რა ამბავია, ხალხო, უკვდავების წყალს ხომ არ არიგებენ? — კითხულობს ახლადმისული.

— არა, კაცო, კინოს ბილეთებს ყიდულობენ, — არის პასუხი.

— მერე და ამისათვის ასეთი კისრისტენა? — ჩვეულებაა, რას იზამ!

მართლაც, ახირებული ჩვეულება აქვთ ხაშურელ კინო-მაყურებლებს. შელამდება თუ არა, კინო-თეატრის სალაროსთან შეიქმნება ხელჩართული ბრძოლა, რომლის მიზანია ბილეთის შეძენა, ხოლო შედეგი — ცხვირპირის დამტვრევა ერთმანეთისათვის.

დიოგენის სიდინჯით შეჭურბებს ამ ჭიდილს ხაშურის მილიცია, იობის მოთმინებით გადმოჰყურებენ ხელჩართულ ბრძოლას აღმასკომის მუშაკები.

ენით უთქმელი ენთუზიაზმით ერევიან შეტაკებაში ხულიგნები:

- მოდი! დაჰკა! ჰკარ! დასცხე, დაადოშე!
- გაიძახიან გალაღებულნი და ატკობენ მილიციისა და აღმასკომის მუშაკების თვალსა და ყურს.
- ხაშურელი დიოგენი, იობნი და სხვა მისთანანი ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან კი დიდად კმაყოფილნი არიან;
- ხედავთ, როგორ გაიხარდა ხაშურელი კინო-მაყურებლის დონე!

— გაიძახიან ისინი, როცა ფაქტიურად აქ ხულიგნური ელემენტების აქტივობის დონეა გაზრდილი.

ნამდვილი კინო-მაყურებელი კი სახლში ყოფნას ამჯობინებენ: არც ხელფენი, არც ცხვირპირი ნაყიდი არა გვაქვს, კინოს ბილეთისთვის ვერ გავიმეტებთო ამტკიცებენ ისინი.

ვინ იცის, ეგებ მართლაც მტკიცება არ ჰქონდებამ დებულებას

ა. ცალქაშანიძე.



ზოგიერთ ვირში

- რას შვრები, არ ისროლო, თორემ მე მომარტყამ.
- შენ როგორ მოგარტყამ, როცა ხუთი მეტრის დაშორებით დგენარ.
- მოიცა, თუ ძმა ხარ, ჩემი თოფის ამბავს ნუ მასწავლი.

უფორმონი

ტრამვაის ვაგონში წინა ბაქნიდან ავიდა ერთი მოქალაქე. მას მეორე მიჰყვა. ასვლისთანავე ასეთი დიალოგი გაიმართა მათ შორის:

- მოქალაქე, რატომ ამოდიხარ წინა ბაქნიდან?
- შენ რატომ ამოდიხარ?
- მე ალბათ ნება მაქვს.
- მაჩვენე შენი მოწმობა!
- შენ მაჩვენე შენი მოწმობა!

არცერთი არ იღებს მოწმობას. მდგომარეობა მწვავედება. შელაპარაკება აყალ-მაყალში გადადის.

- რას მიჰქარავ .თუ იცი!
- შენ რას მიეღებ-მოედები, თუ იცი!
- ჩადი ძირს, გეუბნები!
- გეუბნები, ძირს ჩადი!
- არცერთი არ იძვრის ადგილიდან. ერთიც და მეორეც დარწმუნებულია, რომ მოპირდაპირეს უჩვენებს სვირს.

— მოქალაქე, რატომ იგდებ თავს ხლაფორთში, ჩადი ძირს და მადლობა შესწირე ღმერთს, რომ გიშვებ.

- შენ მიშვებ მე? ჩამოდი აქ, ძირს!
- ჩამოდი აქ ძირს!
- წამოდი ახლა მილიციაში!
- ჰო, წამოდი ახლა მილიციაში!
- მათ ერთი- მეორე მიჰყავთ.
- იქ გიჩვენებ ფეთებს!
- იქ დაგანახვებ ფოთის გზას!

მივიდნენ მილიციის მორიგესთან.

- აბა, თქვენი მოწმობა!
- ესეც ჩემი მოწმობა! — ამბობს მოქალაქე № 1 და იღებს მოწმობას, სადაც სწერია, რომ იგი არის მილიციის პ/მგ. მუშაკი ბეპიევი.


ბეპიევი უღვაშებში ჩაიციან და მოპირდაპირეს გამანადგურებლად გადახვდა. საკვირველია, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებით არ განადგურდა: პირიქით, მანაც ამოიღო მოწმობა და ჰოი, საკვირველებავ! ესეც თურმე მილიციის პ/მგ. მუშაკი შ. ფარულავა ყოფილა.

თურმე მათ დაავიწყდათ ფორმის ჩაცმა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი ასულან წინა ბაქნიდან! თვითუღმმა მათგანმა იცოდა, რომ მილმუშაკი იყო, მაგრამ ეს კაცს შუბლზე ხომ არ აწერია:

“ბატონი გულში მღეროდა, ყმებო, ბანი მითხარითო... ახლა, დისციპლინარული სასჯელის მიღების შემდეგ, ორივენი ერთდინავეს იმეორებენ:

- რომ მოხდეს და ფორმა სახლში, დატოვო, ჰკუა და მოსაზრება მაინც უნდა წაიღო თან. ფაქტიურად კი არც ფორმის, არც ჰკუის და არც ზრდილობის სადმე დატოვება არ ღირს.

აგ. თანელიძე.



დღესაც გუშინდელივით გათენდა დღე. დღესაც გუშინდელივით დაიწყო ვაცხოველებული ვაჭრობა საქვაჭრობის პუშკინის ქუჩაზე არსებულ პასაჟში, დღესაც გუშინდელივით „მირონის“ გუნებაზე დატრიალობს ამ პასაჟის საოჯახო საქონლის სექციის გამგე პატვაკან ბალოიანი. დატრიალობს და გული მერცხალივით უფერინავს პატვაკანს.

ანკი, რატომაც არ უნდა უფერინავდეს? განა თუ უიღბლო ჯეელია, განა თუ თაფლში ჩაყოფილ თითს სიტკბო აქლია? — არა მეტი არაფერიც არ აქლია ბალოიანს: მურაზი თითონ მუშაობს პატვაკანისთვის, ყისმათი ჯიბეში უზის, ხეირი უღიტინებს და ეუბნება:

ეს შენა ხარ პატვაკან არტემი? — ბაროვ, დღეს როგორ არის საქმე?

საქმეს რა უჭირს, საქმე დამში მოდის: დღეს ახალი საქონელი მიმიღია თბილვაჭრობის ბაზიდან.

საღოლ, მარიფათიანად მოქცეულხარ, — მაინც რა საქონელია? ანტიკა რამეა, „სეტკიანი კრაოტები“...

ბალოიანი საწოლებითქო, — გრამატიკას ნუ არღვევ — ეუბნება ყისმათი.

— მაშ რა დავარღვიო? შენც რა მიამიტი ჯეპელი ხარ, — ვითომ არ იცი რა დაარღვიო, რა და ფასები — სხვა რის დარღვევა გეხერხება?

ჰო, ეგ სხვა საქმეა, — მაგაზე ბაშუსტა. მართლაც „ბაშუსტა“ გააკეთა პატვაკანა ბალოიანმა: მიღებული ათი ცალი საწოლიდან იმავე დღეებში ხუთი ცალი საწოლიდან გააფრინა, — გაასალა რალა. თანაც გაყიდვამდე — მათში პატარა ცვლილება შეიტანა: ზოგიერთ საწოლს ბადე მოხსნა, ხოლო თითო საწოლს 190 მანეთი მოუმატა.

შემდეგ სალოკი თითით ჩოთქში ჩაავლო და გამოთვალა: ათჯერ ათი თუმანი — ასი თუმანი, იქაც შენი ათჯერ ცხრა თუმანი — ცხრაასი მანეთი... სულ ათას ცხრაასი.

ჰაა, როგორი ლუკმაა ათას ცხრაასი მანეთი? — შეეკითხა ყისმათი. მალხაზ, რაც არის არის, დანარჩენი სხვაზე იყოს.

რა ქნას ბალოიანმა? — ხათრიანი კაცია, ჯერჯერობით ამაზე დათანხმდა.

— ჩემი სიყრმის მზემ, თითქმის ვზარალობ, ხათრით გაძლევეთ თვითღირებულ ფასში, სასარგებლო მუშაკი ხართ, წაიღეთ და ხეირი ნახეთ...

ასე ჩაუნატკბილა პატვაკანმა მომხმარებელ ამხ. რატიანს, რომელმაც ერთი წყვილი საწოლი შეიძინა 1100 მანეთად.

ასევე „იზარალა“ ბალოიანმა პასაჟის მტვირთავ მუშასთან — ზაალიშვილთან, რომელსაც ერთი ცალი საწოლი 500 მანეთად მიჰყიდა.

— იცოდე, ფასდაკლებით გაძლევე, როგორც ჩვენ მუშას, თორემ სხვისთვის მეტი ეღირებოდა, — დაატანა პატვაკანმა როცა ჩემი გამოუწერა ზაალიშვილს.

ზაალიშვილმა ამოიხრა და ფული ჩაუთვალა. — მამაცხონებულო, რას ოხრავ, შინაური კაცი ხარ, მეტს ხომ არ გამოგართმევ?

— ახალი მუშტარია, საწოლები უნდა, — აცნობეს ბალოიანს.

— ვინ არის, სანდო ვინმეა? — სანდო როგორ არ იქნება, ბამბის ფაბრიკის თანამშრომელია — მექვაბიშვილი.

— მაშ უკან კარიდან ჩამოიყვანეთ საწოლებში...

მექვაბიშვილს გაუკვირდა ასეთი მიღება და ფასიც ებევრა, მაგრამ ბალოიანმა „დარწმუნა“:

— ვა, ფაბრიკის კაცი ხარ და არ იცი, რომ ფასი ბარდანასა სძევს? — რაკი ასე გიფასებთ, ზნაჩიტ კაი საქონელია... არ გინდა? სხვები მეხვეწებიან.

მექვაბიშვილმაც ჩაუთვალა 1100 მანეთი და წაიღო „ბარდანა“ ე. ი. გაბერილ ფასად ნაყიდი უბადო, საწოლები.

ასე გასაღდა ის „ანტიკა — საქონელი“. ფული რალაცა სხვა ყაიდაზე მიიღეს, ჩემები რალაც „იკლიკანტურად“ აურია ბალოიანმა ისე, რომ საით წაივდა დანარჩენი საწოლების კვალი — მიგნება შეუძლებელი შეიქნა.

ერთი პატარა უსიამოვნება მოჰყვა ამ ამბავს: ბალოიანს გაუგეს საწოლებზე ფასების ბოროტი დამახინჯება, თბილისის საბჭოს ვაჭრობის განყოფილების უმფროსმა ხარაიძემ ადგილზედაც კი შეამოწმა ეს საქმე.

პატვაკანა დაფაცურდა: — ყისმათოჯან, მალაატობ? — რა გქნა, ამ ხათას როგორ დავაღწიოთ თავი?

— ლალატით, როგორ გილაატებ, პატვაკანჯან, წადი, ვისაც

საწოლები მიჰყიდე, სთხოვე დაგეხმარონ, ცნობა მოგცენ, ერთი სიტყვით, მარიფათი მოიხმარე და გამოძერები.

ბალოიანმა მექვაბიშვილის კარები დააკაკუნა. — ერთი პატარა იაღლიში მოხდა: თქვენ რომ საწოლები მოგყიდეთ — ცოტა ფასში მოგტყუებულვარ...

— როგორ, კიდევ უნდა გადავიხადოთ? — არა, თქვენ არ უნდა გადაიხადოთ, მე ცოტაოდენი „დავესკა“ უნდა დაგიმატოთ, პაქალუსტა, უარს ნუ მეტყვით, ოჯახის პატრონი კაცი ვარ, ჩემი ცოდო რათ გინდათ?

— რა „დავესკაზე“ ლაპარაკობთ, არ მესმის. — ჩემი თავი შენ გენაცვალოს, ახლავე გაგაგებინებ: მე გამოვიგზავნი საწოლების ორ წყვილ ბადეს და ჰამაც ერთ ემალის ტაშტსა, — უფასოთ რალა, — შენ კი — ცნობა მომეცი, რომა ყველაფერი ამაში გადახდილი გაქვს 1100 მანეთი.

მექვაბიშვილებმა ასწონ-დასწონეს და დათანხმდნენ. ბალოიანმა მათი ცნობა ჯიბეში ჩაიღო და, როცა ფასების სახ. ინსპექციის წარმომადგენელი პასაჟში გამოცხადდა, მას საბუთად წარუდგინა:

— ტყუილია, ვითომც მართო საწოლებში გამოვართვი მექვაბიშვილს 1100 მანეთი, — აი, ხელწერილი.

ხელწერილს დახედეს და შეეკამბდნენ. — ასეა მაშ, — საბუთი ხელში მიჭირავს, თქვენ კი შაირზე ხართ... — რატიანს რად გადაახდევინეთ 375 მანეთიანში — 550 მანეთი?

— ეგ ალბათ იაღლიშა, იმის გამო, რომა საწყობში მე დაბალფასიანი საწოლებიც მქონდა და 550 მანეთიანიც. მე 550 მანეთიანი მივიყიდე და ფულიც ასე გამოვართვი, იქ კი, ალბათ დაბალფასიანი მისცეს მუშებმა — მყიდველსა.

— ზაალიშვილს რალათ გადაახდევინე იგივე ფასი, ის ხომ თქვენი საწყობის მუშაა და არ შეეშლებოდა.

— ზაალიშვილისთვის მე არაფერი მიმიყიდინა. — თვითონ ადასტურებს.

— რა უყოთ... მე არ მახსოვს: რაკი საქმე აღიძრა, მისი გამორკვევაც საფუძვლიანად უნდა დაწყებულიყო. ეს აუცილებელი გახდა იმის გამოც, რომ არსებობდა ცნობები ბალოიანის მიერ მსგავსი „იაღლიშების“ ხშირად განმეორებისა: მაგალითად ნავთქურების პატრუქების ბითუმად და ფასმომატებით გაყიდვის, ელექტროლოუმელებით სპეკულაციისა და სხვა უკანონო მოქმედების შესახებ.

ამიტომ ნავაჭრი ჩემები უნდა გაეისინჯათ. ეს ჩემები ჩვეულებრივ თანმიმდევრობით იხანება ხოლმე წესით — აკინძული და თვეების მიხედვით შეკრული. ბალოიანმა გახსნა ისინი, აურია და ჩაყარა ისე, რომ ველარაფერს გაუგებს კაცი. ეს მან ჩაიღინა მიუხედავად იმისა, რომ ინსპექციამ გააფრთხილა — ხელი არ ახლოო.

— ვა, ხელი არ ახლო რომელია, მაშ ჩავვარდე? — ბუზღუნებდა ის. საქმეში ჩაერია საინსპექციო ორგანო, რევიზია დაინიშნა, საწყობი დალუქეს აღწერის მიზნით. ბალოიანმა, ყისმათის იმედით, საწყობს ღამით ლუქი აავლიჯა, შიგ სადღაც ნათხოვარი საქონელი შეიტანა, ზედ ნამტვრევი საქონელიც დაუმატა და ამით საქმის გაჩარხვა გადასწყვიტა.

— ვა, თუ წყნეთელებს — მცხეთელებისთვის მკვდარი უსესხებიათ, არ შეიძლება, რომ მე არტელებიდან დროებით ვითხოვო საქონელი? — ფიქრობდა ბალოიანი.

ამ არევ-დარევის მიუხედავად, მაინც გამოირკვა ბალოიანის დიდი დანაშაული, დანაკლისიც აღმოაჩნდა სულ „რალაც“... 25000 მანეთი. დაიწერა ბრძანება მისი მოხსნის შესახებ, მაგრამ... ყისმათი რის ყისმათია თუ არ გასჭრის? ბალოიანს შიგნით აღმოუჩნდნენ კაცნი კეთილნი და მფარველი კალთა გადააფარეს. დიდხანს ცდილობდნენ ისინი შუბის ხალათში დამალვას, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, მონერხდა პატვაკან ბალოიანის პასუხისგებაში მიცემა.

— მაშ გათავებულა საქმე, ბალოიანისთვის უღალატნია ყისმათსო, — იფიქრებთ.

არა, ბალოიანისთვის ყისმათს ჯერ არ უღალატნია, არც მის მფარველებს უღალატნიათ — ყისმათიც და ძმაკაცებიც ჯერჯერობით მუშაობენ ბალოიანისთვის.

ფაქტი? ერთ პატარა ფაქტს კიდევ მოგახსენებთ: მთელი ამ ორომტრიალის ჩამდენი, მოხსნილი და პასუხისგებაში მიცემული ბალოიანი... დააჯილდოვეს 300 მანეთით... ისევე, როგორც წინა კომბინაციების პერიოდში საათით დააჯილდოვეს.

— ეს ხომ სასაცილოაო, — იტყვით თქვენ.

მართლა? შეიძლება ამ საქმეს სასაცილო მხარეც აქვს და ეს უკვე გამორკვეულია, მაგრამ ის, რაც აქ სასაცილო არ არის — გვინდა, ვისურვოთ, რომ სასამართლომ გამოარკვიოს — პატვაკან ბალოიანის ყისმათის მხედველობაში მიღებით.


გამოუვადი მდგომარეობა

ახ. მ. ბროლაძისა

ქრონიკული
ნიგლირთეკა



რუმინელი დიპლომატი: — როგორ შევიდე ამ უცნაურ შენობაში, რომ განცხადება შევიტანო იქიდან ჩემი გამოსვლის შესახებ?



(მოქმედება სწარმოებს თეატრში). დარისპანი და კაროჟნა ხალხში სეირნობენ)

დარისპანი — გამოადგი ფეხი, გამოადგი... შიგნი, წამოდი თუ არა ქე იწყება გონია, და თუ ვინმემ დაგვასწრო სკამზე, — შენი მტერია ველარ წამოაყენებ (შედიან დარბაზში).

კაროჟნა — წვედიდეთ, წე...

დარისპანი — დაჯექი ხო, დაწოლას ხომ არ აპირებ — ამდენხანს რომ ზომავ მაგ სკამს...

კაროჟნა — (სკამზე უთითებს) გონია დაშლილია...

დარისპანი — დაშლილი შენ ხარ, შე საცოდავო! დაშლილი კი არა ახალი სკამია, ასაწეგ-დასაწევი — შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები ამას, დაჯექი ჰო, ადგომისას აწეგ ზევით და ადგები, მუხლებში რო გეიმართო იმისთვის.

კაროჟნა — ძან კაია.

დარისპანი — რაზე ამბობ!

კაროჟნა — თრიატია კაი.

დარისპანი — მე, გოგო, სკამზე გელაპარაკები.

კაროჟნა — ჰო!

(სცენაზე: ოტელო, დეზდემონა, იაგო, კასიო, ბრახანციო, მოსამსახურენი და სხვანი)

ოტელო — ... სულდიდნო, უფალნო ჩემნო, მართალი არის მე მოგტაცე ამ მოხუცს ქალი...

დარისპანი — (თავისთვის) ჰმ! მერე კიდე შენ გიჩივიან! მადლობის მაგიერია? (კაროჟნას გასაგონად) ვინმე კაროჟნას რომ მოიტაცებდეს ამაშენებს და ის იქნება...

ოტელო — ... ისიც სწორია, რომ მე იგი ცოლად შევირთე. ეს არის ჩემი შეცოდების თავი და ბოლო...

დარისპანი — საქმე გოუთავებია, ქალი მოურთავს, ვინ იცის ფეხმძიმეთაცაა და რაღას უჩივიან ამ პატიოსან კაცს, ახლა!?

კაროჟნა — ჩო, ჩო, (სცენისაკენ უთითებს) ის ვინ არი?

დარისპანი — ვინ ის?

კაროჟნა — ზევით რო ჯის სამი კაცი, შუაში რომ არი.

დარისპანი — რაღა იმას დოუმიზნე!

კაროჟნა — მე მიყურებს გონია...

დარისპანი — იმდენი შე რა გითხრა.

კაროჟნა — ნეტაი ვინ არი, ბეჩა!

დარისპანი — (პროგრამაში იცქირება) აგერ წერია — დოჟიაო.

კაროჟნა — დოჟიაო?

დარისპანი — დოჟი კი არა, ზუთხი არ გინდა, დოჟიო, დოჟიო გამოყრუებულო, სახელია, მიხვდი?

კაროჟნა — ჰო.

ოტელო — (მონოლოგის დასასრულს)... მიხვდი, რაც სურდა მას სათქმელად...

კაროჟნა — (იციინის)

დარისპანი — რა გაცინებს, გოგო?

კაროჟნა — რაიო და მივხვდიო... (მოქმედება თავდება. შემდეგი სურათი: დარისპანი და კაროჟნა მაყურებელთა დარბაზში სხედან, ანტრაქტია, ისმის გონგი).

დარისპანი — ტამტს დაარტყეს გონია, ზვანოკები ქე იყო, აწი ალბათ დეიწყება.

კაროჟნა — ჰო.

მაყურებელი — (დარისპანს ბოდიში, თქვენი სკამი რა ნომერია.

დარისპანი — ჩემ ადგილზე ვარ ბიძია, რა გინდა.

მაყურებელი — არა, ნომერი მაინტერესებს და...

დარისპანი — დიდი ცნობისმოყვარე ყოფილხარ, შე კაცო!

მაყურებელი — მისთვის რომ ვეძებ ჩემს...

დარისპანი — (აწყვეტინებს, მოკრძალებით) ვის ბატონო?

მაყურებელი — (ღიმილით, გადახედავს კაროჟნას) ჩემს სკამსაც და... ამხანაგსაც.

დარისპანი — გეიცანით ჩემი ქალიშვილია, კაროჟნა (კაროჟნას გეიწი იქით ბატარა, შუაში მაინც ჩევიჯინოთ ეს კაცი, რაცხა სკამი დაკარგვია გონია...)

მაყურებელი — (ეცნობა კაროჟნას) სილიბისტრო!

კაროჟნა — (ეცნობა) კაროჟნა!

მაყურებელი — (დარისპანს) კონტრამარკა მაქვს, ადგილიც აღნიშნულია და ვეძებდი...

დარისპანი — რა საძებარია ადგილი შე კაცო, რა ველმინდორი შენ გჭირდება. ჩამოჯექი აგერ. არაფერი არ უჭირს, კაროჟნა! მიიწი ბოშო იქით, დაკრული ხომ არა ხარ მაგ სკამზე.

კაროჟნა — ახლავე (მიიწევს იქით, სილიბისტრო შუაში მოთავსდება. შემდეგი სურათი: შესვენების დროს დერეფანში სეირნობენ, დარისპანი, კაროჟნა და სილიბისტრო)

დარისპანი — (სილიბისტროს) ეს იავორა რას ჩააცივდა ამ ოტელიას, დიდი შფოთის თავი და კილაოზნიკია, ვილაცაა, რაცხას ხლაფორთობს, მარა გოჟა რამე, თუ იცი?!

სილიბისტრო — შემდეგი მოქმედება დაგვანახებს. დარისპან, მოგწონთ წარმოდგენა?

დარისპანი — მეტად საინტერესო წარმოდგენაა, ყმაწვილო, მეტად.

სილიბისტრო — (კაროჟნას) კაროჟნა! მაროჟნს ხომ არ მიირთმევთ?

დარისპანი — (სილიბისტროს) ახალი ნავახშმევი გახლავართ შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, სილიბისტრო ჩემო!

სილიბისტრო — მერე რა უშავს, ცხელა კიდეც და კარგი იქნება.

დარისპანი — რაზე იხარჯები შე კაცო.

სილიბისტრო — რა სათქმელია (დამტარებელს) მომეცი სამი ცალი, მიირთვით, კაროჟნა! დარისპანი! მიირთვით.

დარისპანი — კაროჟნა! გამოართვი ბოშო! დეიხარჯა ეს კაცი.

კაროჟნა — (ნაყინს სკამს) ძალიან ცივია...

ოტელო — (უკანასკნელი სურათი)... მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკს ძაღლსა და დავკალ... (თავს იკლავს) ასე (კვდება). (ხალხი ოვაციებს უმართავს მსახიობებს)

დარისპანი — (წამოხტება ზეზე) უჰ! რა ვნახე, კაცო, რანაირი წარმოდგენა იყო, კაროჟნა, სად ხარ გოგო! მივდივართ, წამოდი! უყურე სილიბისტრო! ეს მერცხალივით ქალი რაღა მოადუნა ამ სანახაობამ? კაროჟნა? გამოადგი ფეხი!

კაროჟნა — (ხალხიდან) მოვდივარ, მო!

დარისპანი — სილიბისტრო, ასეთი კაი წარმოდგენაზე მარტოკა რო მოხვედი შინაურებიდან რატო არავინ მოგყვა... ან დედა თქვენი, ან თქვენი და, ყმაწვილო ან კიდე... თუ?!

სილიბისტრო — (თითქო მიუხვდა) დედა არა მყავს ჩემო დარისპანი! კარგი ხანია, დაც არ გამაჩნია. ცოლს კი ძლიერ უყვარს თეატრი, მაგრამ დღეს თათბირი ჰქონდა და აქ მოსვლას ვერ შეიძლებდა, ასე რომ მარტო მომიხდა მოსვლა.

(გარეთ გამოდიან)

დარისპანი — (გამწარებელი, აბნევით სილიბისტროს) ისემც კარგი დაგემართოს. კაროჟნა! გამოადგი ფეხი, ბოშო! მართლა რო ბრუციან ვარსკვლავზე ხარ დაბადებული.

ი. ვაშაძე





მაყურებელთა ღიალოგი

- საკვირველია, აშხელას ყვირის და თავისი სიმღერა კი არ ესმის.
- ზოგორ არ ესმის.
- მაშ რატომ არ გაჩუმდება?..
- რა ქნას, თუ სახესტრადის ღირეჭცია არ აჩუმებს...

ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ზ ა

მარელისეღს: (მარელისი) გაცნობებთ, რომ მარელისის ფაბრიკაში საერთო საცხოვრებელი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია:

ამას წინათ კომენდანტი (გვარს ვერ ვიტყვით) ვერსად ვნახეთ, ვეძებეთ და სანაგვეში ძლივს ვიპოვეთ მისი სახე, ვკითხეთ შენ აქ რა ვინდოდა, გვიპასუხა იმან ხენეშით,— ნუ გაოცებთ—ნაგვის მეტი რა იქნება სანაგვეში?

თუ თქვენს კომენდანტს შეუძლია სანაგვეში ატაროს დრო ხელს ნუ შეუშლით.

რაც შეეხება თქვენს წერილს ჩვენ გადავწყვიტეთ, მან მოისვენოს ნიანგის გოდორში.

მზარეულაძეს (დაბა მესტია) თქვენი ლექსიდან „დალაქი“ მოგვყავს ნაწყვეტი:

დალაქი ვარ ყველას ვბარსავ
წვერთმიანი ვინც იქნება,
არავისზე ჩემი დანა
ნამეტნავად არ ფეთდება.. და სხვა
თუ გამოდგეს მოათავსეთ
ნიანგში ეს ლექსებია,
თუ არა გადაუძახეთ
გოდორში ვით წესებია..

გეთანხმებით უკანასკნელ ორ სტრიქონში.

კაკულის (ხაშური). ხაშურის რკ. გზის მუშათა კლუბში ჩატარებულ წარმოდგენების შესახებ იწერებით.

თუ გსურთ „პრაგუს“ არ აშორდეთ, ჩვენს ხაშურის კლუბში წადი— ანტრაქტსა და ანტრაქტს შორის გადის მთელი წელიწადი.

ალბად წარმოდგენის ხელმძღვანელები დიდ ანტრაქტებს მიტომ უშვებენ, რომ პიესის ცალკეული მოქმედებები მთლიან პიესებად ეჩვენებათ.

კოტიკო იმსკოლეღს (ჩხოროწყუ) მოგვყავს თქვენი წერილის ნაწყვეტები ჩხოროწყუს მუკის რაიონულ ორგანიზაციის „მუშების“ დასახასიათებლად: ჩხოროწყუს საშუალო „მუკის“ ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ვ. ქირჩავა ორ წელიწადზე მეტია „ეძებს“ მუკის რაიონულ ხელმძღვანელს, რომლის ნიადაგზე დაკუთდა, მხედველობა დაკარგა... თვალები გამოეკარკლა და შიგდაშიგ ყურსაც დააკლდა. ძვირფასო ნიანგო! მუკი ხომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირს ნიშნავს შემოკლებით, მაგრამ ეს შემოკლება ამ კავშირის მუშაობის შემოკლებას ხომ არ ნიშნავს?.

ოღონდაც, რომ არ ნიშნავს... რაკი მუკის მანდაური ორგანიზაციის მიგნება თქვენი საკუთარი ძალით არ ხერხდება, მიმართეთ ადგილობრივ სათანადო ხელმძღვანელ ორგანიზაციებს.

ქეთინოს (ზესტაფონი) რაკი თქვენი მუკის ორგანიზაციაც მიძინებულია თქვენც ისე მოიქცით, როგორც კოტიკო იმსკოლეღს ვურჩიეთ.

„იპონიაში გამოქვეყნდა, რომ აღარ იწარმოებს ძვირფასი საქონლის გამოშვება, სახელმწიფოს მართველნი ხალხს მოუწოდებენ წარმოუდგენელი მომჭირნეობისაკენ“.

ნახ. გ. თოძისა

გაზეთი „საბჭოთა“
ბიზნისი



— რა ატირებს ხიბი-ჩქმიტოს, ვინ აწყენინა?
 — აწყენინეს კი არა, ფრიალ საპასუხისმგებლო საქმე მიანდგეს: ხვალინდელ იაპონელის როლს ამზადებს...

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5, ტელ. 8-74-67

გადეცა წარმოებას 1940 წ. 10/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდად 1940 წ. 17/X. ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფ. კომბინატი, „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 1073. უფ. 1825. ტირაჟი 15 000